საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

# ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004269

„ 9 “ თებერვალი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. ნიღბაძის I ჩს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ზღაპრული საქართველო" (ს/კ 237978364)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №2-1265 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ლიცენზია №39; 21.06.2017)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004269 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N 004269 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 6 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $53^2$ მუხლის, $82^3$ მუხლის, $79^7$ მუხლის,

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

$79^9$ მუხლის, $79^8$ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის 84-ე მუხლის $3^1$ ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] მოადგილე მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნინო კორკოტაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კორკოტაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 6 მაისის №DES22500000140 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ სორის ტერიტორიაზე მდებარე, შპს „ბლაუენშტაინ საქართველო"-ს (ს/კ 237978364) კუთვნილი, ნარჩენების განთავსების საწარმოს (ბიოლოგიური ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №2-1265 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

**შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:**

1. 2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** შესრულების მიზნით, კომპანია საქმიანობას არ ახორციელებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიული სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების, ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. კომპანიას არ აქვს მოწყობილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული სარკოფაგი (მოცულობა 125მ$^3$), რომელშიც უნდა განთავსდეს ინსინერატორში ნარჩენების წვის შედეგად წარმოქმნილი ფერფლი;

1.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში არ ხდება წარმოქმნილი ნაცრის რაოდენობრივი აღრიცხვა და სარკოფაგში განთავსება;

1.3. საქონლის სასაკლაოში წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მიზნით, სასაკლაოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული სამაცივრე ოთახი/შენობა;

1.4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში არ ხდება საჩივრების ჟურნალის წარმოება;

1.5. კომპანიას არ აქვს შემუშავებული დროებითი გაჩერების ან შეკეთების (მიმდინარე და კაპიტალური) შემთხვევაში, საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან შეკეთებასთან დაკავშირებული ოპერატიული გეგმა, რომელიც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებულ

იურიდიულ პირთან. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ნარჩენების დროებითი დასაწყობების ან/და გაუვნებლობის ალტერნატიული ვარიანტები ინსინერატორის ექსპლუატაციაში გაშვებამდე;

2. კომპანიას არ აქვს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“, შესაბამისად კომპანია ვერ უზრუნველყოფს 2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-4 პირობით** გათვალისწინებულ, გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვას და მისთვის დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულებას;

3. 2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-5 პირობის** შესრულების მიზნით, კომპანია საქმიანობას არ ახორციელებდა ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. კერძოდ, არ გააჩნია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა;

4. **2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-9 პირობის** შესაბამისად, შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“, თვეში ერთხელ, არ ახორციელებს ინსინერატორის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევას სახიფათო/არასახიფათოობის მახასიათებლის დადგენის მიზნით;

5. ინსპექტირებით ასევე გამოვლინდა, გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტები. კერძოდ:

   5.1 შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს „მაცივარაგენტების მართვის ელექტრონულ სისტემაში (https://emoe.gov.ge), არ ქონდა დარეგისტრირებული 3 (სამი) კილოგრამზე მეტ მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობა;

   5.2 კომპანია წარმოქმნილი ცხოველური ნარჩენების განთავსებას (დამარხვას) ახორციელებდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორის ტერიტორიაზე, შპს „სორისერვისი“-ს კუთვნილ, საკადასტრო კოდით - 88.08.21.145 რეგისტრირებულ **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე**. შესაბამისად, დადგინდა, რომ კომპანია ახორციელებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე და ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არამიზნობრივ გამოყენებას.**

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 20 ივნისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $53^2$ მუხლის, $82^3$ მუხლის, $79^7$ მუხლის

პირველი ნაწილის და $79^8$ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №093518 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ონის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 23 ივლისის №4/36-2025 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $53^2$ მუხლით, $82^3$ მუხლის, $79^7$ მუხლის პირველი ნაწილით და $79^8$ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული დადგენილება კომპანიის მიერ გასაჩივრდა ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ, 2025 წლის 20 ოქტომბრის №4/ა-334-2025 გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს საჩივარი და უცვლელად დატოვა ონის მაგისტრატი სასამართლოს 2025 წლის 23 ივლისის №4/36-2025 დადგენილება. შესაბამისად, დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 9 თებერვლის №004269 ადმინისტრაციული მიწერილობა.

შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“-ს (ს/კ 237978364) კუთვნილი, ნარჩენების განთავსების საწარმოს (ბიოლოგიური ნარჩენების საწვავი ღუმელის - ინსინერატორის) ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №2-1265 ბრძანებით გაცემული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდა საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიული სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების, ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობა**). მათ შორის:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ინსინერატორის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნაცრის განთავსების მიზნით, 125მ$^3$ მოცულობის სარკოფაგის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, სასაკლაოს ტერიტორიაზე სამაცივრე ოთახი/შენობის მოწყობა, სასაკლაოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების დროებით შესანახად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს საწარმოში წარმოქმნილი ნაცრის რაოდენობრივი აღრიცხვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში** საწარმოში განათავსოს საჩივრების ჟურნალი და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საჩივრების ჟურნალის წარმოება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

5. წარმოქმნილი ნაცრის განთავსებისათვის განკუთვნილი სარკოფაგის მოწყობიდან, **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს, ნარჩენების წვის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის სარკოფაგში განთავსება, ნაცრის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ხოლო სარკოფაგის მოწყობამდე წარმოქმნილი ნაცრის მართვა განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით დამტკიცებული, „სახიფათო

ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან შეკეთებასთან დაკავშირებული ოპერატიული გეგმის შემუშავება, რომელიც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირთან. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ნარჩენების დროებითი დასაწყობების ან/და გაუვნებლობის ალტერნატიული ვარიანტები ინსინერატორის ექსპლუატაციაში გაშვებამდე;

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“-ს შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს პროექტში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება (2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-4 პირობა**);

8. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან საქმიანობა განახორციელოს** ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად (2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-5 პირობა**), მათ შორის ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში უზრუნველყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად;

9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არანაკლებ თვეში ერთხელ** უზრუნველყოს ინსინერატორის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევა, სახიფათო/არასახიფათოობის მახასიათებლის დადგენის მიზნით, ხოლო ნაცრის სახიფათოობის დადგენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გადაცემა კომპანი(ებ)ისთვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ტიპის ნარჩენების აღდგენა/განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (2017 წლის 21 ივნისის №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-9 პირობა**);

10. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის** ვადაში უზრუნველყოს, საწარმოში დამონტაჟებული, სამაცივრე მოწყობილობ(ები)ის, რეგისტრაცია „მაცივარაგენტების მართვის ელექტრონულ სისტემაში (https://emoe.gov.ge),

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს №333 დადგენილებით დამტკიცებული „მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი“-ს შესაბამისად;

11. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანია წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებას (დამარხვას) ახორციელებდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელი სორის ტერიტორიაზე, შპს „სორისერვისი“-ს კუთვნილ, საკადასტრო კოდით - 88.08.21.145 რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და ასევე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ საქმიანობას შესაბამისი გადაწყვეტილების (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გარეშე **(იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის მე-5 პუნქტის 5.2 ქვეპუნქტი)**, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 მუხლის, ასევე მე-9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **გეზღუდებათ საქმიანობის განხორციელების უფლება (სახიფათო ნარჩენების განთავსება, დამარხვა) 88.08.21.145 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.**